

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

თამარ კაპანაძე

Tamar Kapanadze

განათლების სოციოკულტურული კონტექსტი საჯარო
ადმინისტრირებაში

Sociocultural Context of Education in Public Administration

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა
Educational programme: Public Administration

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Public
Administration

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ კაპანაძე

განათლების სოციოკულტურული კონტექსტი საჯარო
ადმინისტრირებაში

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ზვიად მიმინოშვილი,
განათლების დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა
და პოლიტიკის სკოლის საატესტაციო - საექსპერტო
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	2
ნაშრომის მოკლე შინაარსი	11
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი	15
მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები.....	18
განსჯა და მეცნიერული მიგნებები	21
დასკვნები და რეკომენდაციები.....	27

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა: ერს საკუთარი სოციოკულტურული წარმოდგენა და ეთიკურ ღირებულებათა მთელი სპექტრი გააჩნია, ხოლო ორგანიზაციებს, მენეჯმენტის კონტროლის უნიკალური ეროვნული სისტემები შეუძლიათ შექმნან. საჯარო მმართველობამ, ეროვნულ მიზნებთან ერთად, სწორედ ის კულტურული ღირებულებები უნდა გააცნობიეროს, რომელიც კონკრეტული სახელმწიფოს არსებობას უდევს საფუძვლად. ნაშრომი, „განათლების სოციოკულტურული კონტექსტი საჯარო ადმინისტრირებაში“, სოციალური საქმიანობის საჯარო მმართველობას ეროვნული კულტურული ღირებულებების თვალსაზრისით შეისწავლის.

განათლების სისტემის მართვის შინაარსზე პასუხისმგებელმა სტრუქტურამ განათლების სოციალური ინსტიტუტის ფუნქციად სხვადასხვა დისციპლინაში, ერთიდაიგივე კოგნიტური ოპერაციის უსასრულოდ გამეორება ანუ ინფორმაციის მიღება, ორგანიზება და გამოყენების სიმულირება დასახა. ინფორმაციასა და ცოდნას შორის ზღვარი მოშალა, რამაც განათლებას მოვლენათა არსში წვდომის, იდეის შეცნობის, შინაგანი სიმშვიდისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვის, თავისუფლების შეგრძნების, ცნობიერების არეალის გაფართოების მნიშვნელობა დაუკარგა. რეალური შემოქმედებისა და საღი აზრის სასარგებლოდ გასათვალისწინებელია ეროვნული კულტურის ღირებულებები, რომელსაც პერსონალის ინიციატივების წახალისების პროგრამები გააჩნია, რაც სამსახურით კმაყოფილებას იწვევს. დღეს, საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პერსონალი, სამსახურით კმაყოფილებას არ გამოხატავს.

რადგან ადმინისტრაციებს საკუთარი საქმიანობის კვლევის ჩატარების საშუალება არ აქვს: საქართველოში, ჯერ კიდევ შეუსწავლელია საჯარო მართვის კვლევის ძირითადი კონცეფციები; განათლების საჯარო ადმინისტრირების თემაზე საკითხის დაყენების პრეცედენტები მცირეა; საჯარო

მმართველობაში ეროვნული კულტურული ღირებულების მნიშვნელობა არ არის შესწავლილი. ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო კვლევებში კი ღირებულებების შესწავლის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. სხვადასხვა დროს ღირებულებების გავლენებს შეისწავლიდნენ: კონფუცი, მონტესკიე, ლე ბონი, იუნგი, ჰოფსტედე, როკიჩი, შვარცი, ინგლეჰარტი. ამ მიმართულებით, მსოფლიოში აღიარებული თინქ-თენქები გლობალურ კვლევებს ახორციელებენ, როგორებიც არის: ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI). ბედნიერების მსოფლიო ანგარიში (WHR), დემოკრატიის ინდექსი (DI), მსოფლიოს თავისუფლების ინდექსი (WFI), მორალური თავისუფლების მსოფლიო ინდექსი (WIMF), მსოფლიო ღირებულებების მიმოხილვა (WVS) და სხვ.

მაასტრიხტის უნივერსიტეტის ორგანიზაციული ანთროპოლოგიისა და საერთაშორისო მენეჯმენტის ემერიტუსმა, ჰოლანდიელმა სოციო-ფსიქოლოგმა, რომელიც გასული - 2020 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა, გირტ ჰოფსტედემ ორგანიზაციაზე კულტურული ღირებულებების გავლენების შესწავლის თვალსაზრისით დიდი შრომა გასწია. მან ეროვნულ კულტურულ განზომილებათა გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და ყველაზე პოპულარული ჩარჩო შეიმუშავა. ჰოფსტედემ, ყოველი ეროვნული კულტურისათვის განსხვავებული ქცევის ექვსი ძირითადი პროგრამა შეისწავლა. მან დაასკვნა, რომ ქცევები ცვლადია, მაგრამ უცვლელი და მარადიული არის - ღირებულებები. ჰოფსტედე ასახელებს კულტურული მრავალფეროვნების მიზეზებს: ახალი გარემო, რელიგია, კულტურული პატერნები, ეროვნება. ეს უკანასკნელი, ჰოფსტედეს აზრით არის ისტორიული ერთობლიობა, რომელსაც საერთო აქვს: ენა, დამწერლობა, ისტორია, განათლების ეროვნული სისტემა, ერთიანი სადღესასწაულო კალენდარი, ერთიანი სიმბოლოები და ემოციური გამოხატულებები, გარკვეული უნარების ეროვნული ბაზარი, პროდუქტები, მომსახურება და სხვ.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის ობიექტია საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაცია. კვლევის საგანს კი

წარმოადგენს ორგანიზაციაში ეროვნული კულტურული ღირებულებების იდენტიფიცირება, რის შედეგად უნდა გადაწყდეს ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებული ამოცანები: ღირებულების, ქცევისა და მიზნის ურთიერთშესაბამისობის დადგენა; ორგანიზაციაში: ძალაუფლებრივი დისტანციის, ინდივიდუალიზმის, მასკულიზმის, გაურკვევლობის, შორსმჭვრეტელობის, თვითრწმენის გავლენების ახსნა და აღწერა.

ნაშრომის მიზანი და ძირითადი ამოცანები: ორგანიზაციის შემოქმედებით უნარიანობისა და ეფექტიანობის შემაფერხებელი ფაქტორების და სისტემური პრობლემების გამოვლენა; საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ღირებულებების დადგენა; ქცევის იმ პატერნების დადგენა და გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს საჯარო მართვაზე.

ამოცანები: კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება; წინასწარი პროგნოზების გაკეთება; კვლევის რესპონდენტებისა და მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრა; ჰოფსტედეს განზომილებების მიხედვით, რესპონდენტების სოციოკულტურული ღირებულებების გამოვლენა. სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა განათლების სისტემის საჯარო მართვის პრობლემების გამოვლენა, ქცევის იმ პატერნების დადგენა და გამოვლენა, რომლებიც გავლენას სწავლისა და განვითარების პროცესებზეც ახდენს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სსო-ის ორგანიზაციულ კულტურაზე გავლენის მქონე ეროვნული კულტურული ღირებულებების დადგენა. მათი მნიშვნელობის აქტუალიზება ინსტიტუციური ფუნქციების გასაზრდელად.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს უნდა გვეკვლია საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში არსებული აშკარა თუ ფარული, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული ქცევის პროგრამები. ამ მიზნით უნდა შეგვექმნა კვლევის ინსტრუმენტი, კითხვარი: საქართველო - კულტურული განზომილებები. კვლევის შედეგად უნდა დაგვედგინა მიზნობრივი ჯგუფების სოციოკულტურული მოლოდინები, ჰოფსტედესეულ

კულტურულ განზომილებების მიხედვით და საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში არსებული ძირითადი ტენდენციები: ძალაუფლებრივი დისტანციის, ინდივიდუალიზ - კოლექტივიზმის, მასკულიზაცია - ფემინიზმის, გაურკვევლობის თავიდან აცილების, ხანგრძლივი - ხანმოკლე ორიენტაციის, თვითრწმენა - თავშეკავების მიმართულებებით.

კონცენტრირებული პრობლემა: განათლების, როგორც საჯარო საქმიანობის ადმინისტრირების სწრაფად ცვალებადი პროტოკოლები ეროვნული კულტურული ღირებულებების მნიშვნელობებს ვერ ითვალისწინებენ, შესაბამისად: საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ადმინისტრირება მხოლოდ ფორმალურ და ოფიციალურ პროცესებს აკონტროლებს.

ჰიპოთეზა: როგორ შეიძლება საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ფუნქციის გაძლიერება, მის შიგნით და გარეთ არსებული ღირებულებებით ორიენტირების დადგენის და კარგი მმართველობის, ეფექტიანი ადმინისტრირების გზით? საჯარო მმართველობისთვის, როგორც გამოყენებითი მეცნიერებისთვის, ეროვნული კულტურული ღირებულებების გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან სსო ინსტიტუციური ფუნქცია გულისხმობს: საქმიანობას ბავშვის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ, მოსწავლის / სტუდენტის ღირებულებებით სისტემის ჩამოსაყალიბებლად; ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული, სტაბილური, მშვიდი და სიხარულით აღსავსე სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნას; ინსტიტუციური ფუნქციის სათანადოდ შესრულებით სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანას; სამყაროს მთლიანობის გაგებას; აქტორების ფუნქციების ჰარმონიზაციას, მოსწავლეებში / სტუდენტებში რეალურ გამოწვევებთან გამკვლავების უნარის განვითარებას.

საკვლევი კითხვა: სად ვლინდება და რა გავლენას ახდენს ეროვნული კულტურული ღირებულებები საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მართვაზე?

კვლევის მიზნები:

- საჯარო მმართველობის სისტემური კვლევის კონცეფციების გამოვლენა;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციის მართვის თეორიების და მეცნიერული შეხედულებების გამოყენება მისი სოციოკულტურული ფუნქციების ასახსნელად;
- სსო-ის აქტორების ქცევაზე გავლენის მქონე ღირებულებების შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაზე მათი ზემოქმედების დაფიქსირება;
- რეკომენდაციები სსო-ების ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად.

კვლევის ამოცანები:

- საჯარო მმართველობის კვლევის კონცეფციების, მეთოდების, იმპლემენტაციის მეთოდის შესწავლა;
- საჯარო მმართველობის რაობის და სტატუსის დაზუსტება;
- საკვლევი კითხვის ფორმულირების მნიშვნელობის გააზრება;
- საჯარო მმართველობაში ეროვნული კულტურული ღირებულებების ადგილის გააზრება;
- ორგანიზაციული მართვის თეორიების შესწავლა და დახასიათება;
- განსხვავებული ტიპის ორგანიზაციების ღირებულებითი ასპექტების შესწავლა: ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე; ქალაქად და სოფლად;
- შესწავლა იმისა თუ როგორ განსაზღვრავს სსო საკუთარ მიზნებს და სტრატეგიას ეროვნული კულტურული განზომილებების გათვალისწინების გარეშე;
- საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მარეგულირებელი ნორმატივების და ადმინისტრირების პროცესის ანტინომიურობის, როგორც ერთ-ერთი საფრთხის გამოვლენა;

- თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა კითხვარების შესაქმნელად და მონაცემების შესაგროვებლად;
- კითხვარების გაანალიზება, პროცედურებისა და ალგორითმების შემუშავება;
- მონაცემების ანალიზი;
- მესამე მიზნის მიღწეული შედეგების განზოგადება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების შესაბამისად;

კვლევის შედეგები: სოციოლოგიური კონსტრუქტების გასაზომად მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებულია, ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების კითხვარის მოდიფიცირებული ვარიანტი. შექმნილია საკვლევი ინსტრუმენტების ფორმულები. რესპონდენტების მიერ შეესებული კითხვარები დამუშავებულია წინასწარ დადგენილი პროცედურებით. ვრცელი კითხვარების საშუალებით შესწავლილ იქნა სოციალური საქმიანობის სოციოკულტურული კონტექსტი. დადგენილ იქნა საჯარო საქმიანობაზე გავლენის მქონე ეროვნული კულტურული ღირებულებები. სისტემის საჯარო ადმინისტრირების დონეზე გამოვლინდა შინაარსისა და ფორმის ასინქრონულობა, რაც თავს იჩენს ზოგიერთ ნორმატიულ დოკუმენტში. ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების თეორიის მიხედვით გამოიკვეთა ეროვნული კულტურული ღირებულებითი სისტემის მნიშვნელობა საჯარო ადმინისტრირებაში.

კვლევის შედეგები მდგომარეობს: თეორიული დასკვნების გამოყენების საშუალებებში და საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკულ რეკომენდაციებში, ორგანიზაციების ეროვნული კულტურული ღირებულებების მაიდენტიფიცირებელი ინსტრუმენტით უზრუნველყოფაში, ეროვნულ კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული მართვის კონცეფციის ჩამოყალიბებაში, რეგიონული კულტურული ღირებულებების შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერებაში, ასევე შემუშავებული ინსტრუმენტების

საშუალებით ღირებულებათა კვლევის ალგორითმების შემუშავებაში, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ორგანიზაციული კულტურის ჩამოსაყალიბებლად სტრატეგიის შემუშავებაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების შიდა-ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, ეროვნული კულტურული ღირებულებების კვლევის მოკლე და ხანგრძლივი ვადის საქმიანობების დაგეგმვას. ამავე დროს, იგი დაეხმარება საჯარო მართვის მკვლევარებს გააღრმავონ და გააფართოვონ კვლევები ამ მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა და პრაქტიკაში გამოიყენა ეროვნული კულტურული განზომილებების შემსწავლელი კითხვარები. საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ინფორმაციის სათანადოდ გაცნობის შემდეგ, შესაძლებლობა ექნება კონკრეტულ ორგანიზაციაში ღირებულებების კვლევის სამუშაოები ჩაატაროს. შეიმუშაოს სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმედებების გეგმა, რათა ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობა გაზარდოს და სტაბილური ორგანიზაციული კულტურის ჩამოსაყალიბებლად თანმიმდევრულად იმოქმედოს.

მეცნიერული სიახლე: დადგინდა, რომ ქვეყნის კულტურაში დამკვიდრებული ქცევის პროგრამები და ეთიკური ღირებულებები ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი, რაც ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას, მისი პერსონალის შრომითი მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს; მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი იქნა ახალი ცნებები და მათი განმარტება: „საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაცია“, „კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაცია“; სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კულტურული განზომილების ფაქტორული ანალიზის შედეგები, რაც შემდგომში მათი გამოყენების

საშუალებას გვაძლევს; ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების თეორიის მიხედვით ეროვნული კულტურული პროგრამა პირველად იქნა შესწავლილი; განათლების ღირებულების რეალიზებისთვის, როგორც საჯარო საქმიანობისთვის, შეიქმნა კვლევის პრეცედენტი, განისაზღვრა კვლევის კონცეფცია, ლოგიკა, მეთოდები, პარადიგმები. ნაშრომი წარმოადგენს პრეცედენტს განათლების საჯარო ადმინისტრირების თემაზე; კვლევა ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას და მის საჯარო ადმინისტრირებას შეუწყობს ხელს.

მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი ცნებების განმარტებები:

საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაცია - სახელმწიფოს შესაბამისი მიმართულების სამთავრობო უწყების ან მუნიციპალიტეტის მიერ, ფორმალური ან არაფორმალური განათლების განხორციელების მიზნით დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არამომგებიანი) იურიდიულ პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, რომლის მთავარი მაკონტროლებლი, რეორგანიზატორი და ლიკვიდატორი მისი დამაარსებელი სახელმწიფო ორგანოა. ფლობს სარგებლობისათვის: სახელმწიფოს საკუთრებაზე რიცხული შენობა-ნაგებობას, მიწის ფართს თუ უძრავ-მოდრავ ქონებას; აღსაზრდელები, მოსწავლეები და სტუდენტები სწავლისა და საგანმანათლებლო მომსახურების საფასურს არ იხდიან ან იხდიან კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, მომსახურე პერსონალისთვის კი არსებობს პროფესიული საქმიანობის მკაცრად განსაზღვრული სტანდარტები.

კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაცია - კერძო ინიციატივით დაფუძნებული, სახელმწიფოს შესაბამისი მიმართულების სამთავრობო ქვეუწყების მიერ ლიცენზირებული, კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე დაწესებულება, რომელიც საქმიანობს კერძო საკუთრების ბალანსზე მყოფი შენობა-ნაგებობებით, მიწის ფართით თუ უძრავ-მოდრავი ქონებით; აღსაზრდელები, მოსწავლეები და

სტუდენტები სწავლისა და საგანმანათლებლო მომსახურების საფასურს იხდიან ან სარგებლობენ მფლობელის მიერ დაწესებული გარკვეული შეღავათებით. მომსახურე პერსონალისთვის არსებობს პროფესიული საქმიანობის მოქნილი წესები და სამუშაო გრაფიკი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 275 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის რვა სქემა, ოცდაათი დიაგრამა და ცხრა ცხრილი. გამოყენებული ლიტერატურის სია წარმოდგენილია 376 დასახელებით.

ნაშრომის შინაარსი ასეთია:

- შესავალი;
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი;
 - ✓ საჯარო მმართველობის კვლევის აქტუალობა;
 - ✓ განათლების მსოფლიო ბანკის ხარისხი;
 - ✓ გირტ ჰოფსტედეს ექვსი კულტურული განზომილება;
 - ✓ ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების თეორიის გავლენა გლობალურ კვლევებზე;
- მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები;
- განსჯა და მეცნიერული მიგნებები;
 - ✓ საჯარო მმართველობის კვლევა;
 - ✓ საჯარო მართვის ეთიკური პარადიგმები;
 - ✓ საჯარო მართვის ღირებულებები;
 - ხარისხიანი განათლების ღირებულებები;
 - ეთიკური სახეები;

- სსო-ების მართვის ანალიზი ეთიკური პარადიგმების ფონზე;
- ორგანიზაციული კულტურა;
- რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზი;
- კვლევის მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი;
- კოფიციენტების პროცენტის გამოყვანა შესაბამისობების დასადგენად;
- განსჯა და მეცნიერული მიგნებები;
- დასკვნები და რეკომენდაციები;
- ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

დისერტაცია მოიცავს: შესავალს, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის ოთხ თავს, დასკვნებს და რეკომენდაციებს, შეჯამებას, გამოყენებული ლიტერატურის სიას. ნაშრომს დანართის სახით თან ახლავს კვლევის ინსტრუმენტი კითხვარების სახით.

დისერტაციის პირველ თავში: საჯარო მართვის კვლევების აქტუალობა და მნიშვნელობა განიხილება. კერძოდ დასაბუთებულია, რომ საჯარო მართვის კვლევა პრაქტიკის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის არის მნიშვნელოვანი. საჯარო საქმიანობისათვის გამოყოფილი ფინანსების ეფექტიანი განაწილებისთვის საჯარო მოხელეს ყველაზე მამტაბური საჯარო საქმიანობის მიმართულებით დაგეგმილი კვლევების მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ანალიზი უნდა შეეძლოს. საჯარო მართვის ნებისმიერ კვლევას გარკვეული მიზანდასახულობა, ფილოსოფია, აქტუალურობა გააჩნია, რაც კონკრეტული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოებს. ღირებულებების შესწავლა კი მკვიდრ მეცნიერულ საფუძვლებს საჭიროებს.

დისერტაციის მეორე თავი შეეხება: საჯარო მართვის ადგილს და მის აქტუალიზაციას ეროვნულ მთავრობასა და საჯარო

პოლიტიკასთან მიმართებაში; საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს, იქნება ეს: თამაშის წესების თეორიული თუ მეცნიერული ანონიმურობა, ინტერესთა ჯგუფების სიმულირება თუ სხვ. ყურადღება მახვილდება საჯარო მართვაში კულტურის თეორიის მნიშვნელობაზე, ეროვნული კულტურის გავლენების ასახვაზე. სახელმწიფო მის მიერ დეკლარირებული მიზნებითა და ნორმატიული ბაზით, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მასობრივ, ფორმალურ და საჯარო - განათლების საქმიანობას არეგულირებს. სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანაა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ ადმინისტრირებაში ეროვნული კულტურული ღირებულებების ადგილისა და მნიშვნელობის გააზრება. საჯარო მართვის გადაწყვეტილებების არსი, დანიშნულება, სწორად იდენტიფიცირებული პრობლემები და სისტემის ეფექტიანობა ეროვნული კულტურული ღირებულებების მართებულად აღქმაზეა დამოკიდებული. ეროვნული კულტურის ენერჯია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებისთვისაც ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს.

დისერტაციის მესამე თავი: სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი ყველაზე ვრცელია და მიზნად საჯარო მართვის ღირებულებითი ორიენტირების არსებობის დასაბუთებას ისახავს. ამ თავში განვიხილავთ განათლების ღირებულების რეალიზების გლობალურ ეთიკურ კონტექსტს, კერძოდ ინჩიონის დეკლარაციის ღირებულებით პრინციპებს,

ვმსჯელობთ საქართველოს განათლების ინსტიტუციურ მართვაზე და მისთვის ყველაზე დიდი საფრთხის შემქმნელ - სიღარიბის გავლენაზე კულტურულ-ღირებულებითი, კეთილდღეობის, სოციალური, კოგნიტური და ემოციური განვითარების ასპექტებით. სიღარიბისა და განათლების ხარისხის პრობლემების თანაკვეთის აქტუალობას საერთაშორისო კვლევები და მსოფლიო მთავრობების ძალისხმევა ადასტურებს, კერძოდ დეტალურად

მიმოვიხილავთ მდგრადი განვითარების მიზნებს და გლობალურ ღირებულებებს, რომელიც მთავრობებმა თემასთან მიმართებით უნდა გაითვალისწინონ. ღირებულებების აქტუალიზება ხდება განათლების ხარისხის განმსაზღვრელ დოკუმენტებში, რომლის სადემონსტრაციოდ განვიხილავთ განათლების ნორვეგიულ, ამერიკულ და მსოფლიო ბანკის ხარისხის ღირებულებით სტანდარტებს. შევხებით სერ კენ რობინსონის და ვოლტერ მინოლოს ღირებულებით სისტემებს, რომლებიც საჯარო მართვის, და განსაკუთრებით განათლების საჯარო საქმიანობის მიმართულებით ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია.

დისერტაციის მეოთხე თავში: ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების მიხედვით ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებია განხილული. არსებული ღირებულებითი ორიენტირების შესწავლის მიზნით საქართველოს რამოდენიმე ქალაქისა და სოფლის საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების 1650 აქტორი გამოიკითხა. გადარჩევის შემდეგ 1304 სრული კითხვარი შეირჩა, რომელთაგან 87% მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტების მიერ იყო შევსებული. წინასწარ განსაზღვრული ოთხი ასაკობრივი ჯგუფიდან პირველზე მოდიოდა შევსებული კითხვარების 24%, მეორეზე - 35%, მესამეზე - 32% და მეოთხეზე - 9%. რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა ასაკობრივი და დემოგრაფიული კოჰორტების სოციოკულტურის საფუძველზე.

კვლევის შერჩეული კითხვარების რესპონდენტთაგან 98 % - ქართველია.

სტატუსის ჭრილში დიფერენციაციამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 40% მასწავლებელია, 17% - მოქალაქე, 13% - მშობელი, 7% - დირექტორი, 6% - სტუდენტი, 5% - სამეურვეო საბჭოს წევრი, 3% - საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ადმინისტრატორი. დირექტორის და საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ადმინისტრატორის სტატუსით კვლევაში მონაწილეობა რესპონდენტების ათმა პროცენტმა მიიღო. დანარჩენი სტატუსის მქონე რესპონდენტების რაოდენობა 1 - 2

პროცენტს არ აღემატება. რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში გაწერილი ფუნქციური პასუხისმგებლობების მიხედვით.

რესპონდენტები უმრავლესობიდან უმცირესობისკენ, ცხოვრებისეული პრიორიტეტების შემდეგ თანრიგს ქმნის: ოჯახი, სამუშაო, მეგობრები, თავისუფალი დრო, რელიგია და პოლიტიკა.

რესპონდენტების მიერ დალაგებული ოჯახში აღზრდის პრიორიტეტების თანრიგი შემდეგნაირად გამოიყურება: პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, შემწყნარებლობა და სხვა ადამიანების პატივისცემა, დამოუკიდებლობა, ეტიკეტი და კარგი მანერები, ყაირათიანობა, გარემოზე ზრუნვა, წარმოსახვა და ფანტაზია, რელიგიურობა.

სკოლაში აღზრდის პრიორიტეტების მიხედვით, რესპონდენტების პასუხებმა შემდეგი სურათი მოგვცა: საკუთარი თავის ადეკვატურად შეფასება, თვითრეალიზება და ემოციების მართვა; სახელმწიფო ენაზე თავისუფლად კითხვა, მოსმენა, მეტყველება, წერა; ზნეობის, მორალის და ქცევის საყოველთაოდ მიღებული წესების გათავისება და დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია; შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თვითორგანიზება, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენა; მათემატიკური აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა, ფაქტების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, გადაწყვეტილებების მიღება; საზოგადოებაში არსებული ფასეულობების, ნორმების და წესების ცოდნა და მათი დაცვა; ჯანსაღი ცხოვრების წესი, საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა; განსხვავებული კულტურული ფასეულობების პატივისცემა; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ეკონომიკური იდეები და მეწარმეობა.

კულტურული განზომილებების მონაცემთა შინაარსობრივმა ანალიზმა გამოავლინა, რომ გამოკვლეულ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ძალაუფლების დაბალი დისტანცია, ინდივიდუალიზმის და მასკულიზმის დაბალი,

გაურკვევლობის თავიდან აცილების - მაღალი, ხანგრძლივი ორიენტაციის - მაღალი და თვითრწმენის მაღალი ხარისხები დაადგინა. მეოთხე თავში განსაზღვრულია შესაბამისობების დასადგენად საჭირო კოეფიციენტების პროცენტის გამოყვანის ფორმულები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

წარმოდგენილი ნაშრომი საჯარო მართვის, საჯარო მართვის ეთიკის, ორგანიზაციული კულტურის, აქსიოლოგიის, სოციოკულტურალიზმისა და განათლების თანაკვეთაში წარმოქმნილი პრობლემატიკის კვლევას ეძღვნება.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუტები და კერძო სექტორი ეთიკური კოდექსების მიმართ მზარდი დაინტერესებით გამოირჩევიან. დასავლეთს, უძლიერესი ანალიტიკური ინსტიტუტების მიერ აღნიშნული საკითხების კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოცემები გააჩნია. ზოგადად მიმოვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: ანდერსენის, იორგენსენის და სხვათა (Andersen, Jorgensen, Kjeldsen, Pedersen, Vrangbek, 2012) ანალიტიკური კვლევა სოციალური ღირებულებებისა და საჯარო მმართველობითი ღირებულებების ინტეგრაციას შეეხება. ავტორები შენიშნავენ, რომ საზოგადოებრივი ღირებულებები დაზუსტებას და დეტალურ განმარტებას საჭიროებს. ავტორების მიზანია ხელი შეუწყონ საჯარო მართვის სისტემურ კვლევებს, ამიტომ ისინი ორგანიზაციული დიზაინის ძირითადი პრინციპების ტიპოლოგიას გვთავაზობენ.

იორგენსენ-ბოსემანის (Jorgensen & Bozeman, 2007) კვლევა ეთმობა საზოგადოებრივი ღირებულებების შესწავლას. ავტორები შენიშნავენ, რომ საზოგადოება ერთსა და იმავე ღირებულებათა მიმართ სხვადასხვაგვარად რეაგირებს, და ეს დამოკიდებულია მოვლენათა განვითარების კომპლექსურობაზე. ეს, ღირებულებების შესწავლას ართულებს. ღირებულებათა შესწავლის ანალიტიკური მიდგომის

გამოცდილებას ავტორები საზოგადოებრივი ღირებულებების შესწავლის პროცესზე განაზოგადებენ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გამოყვანის რთულ ალგორითმს წარმოადგენენ. იორგენ-ბოსემანის კვლევის ერთ-ერთი ღირებულება ამ თემაზე არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის სუმირებული ანალიზია. ავტორებს დიდი წვლილი მიუძღვით ღირებულებათა იერარქიის, ღირებულებათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და მართვის კონცეპტების დადგენა-განსაზღვრაში.

იორგენსენ-სორენსენის (Jorgensen & Sorensen, 2012) სტატია, კარგი მმართველობის წესების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წამყვანი მეცნიერების მიერ განსაზღვრულ, კონკრეტულ - კარგი მმართველობის ცნების შესწავლას ეძღვნება. ავტორები სახელმწიფოთა კარგი საჯარო ადმინისტრირების საკითხს აანალიზებენ. მეცნიერები შენიშნავენ, რომ კარგი საჯარო მმართველობა საზოგადოებასა და მთლიანად ეროვნულ რეალობაში არსებული ღირებულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. კერძოდ, იორგენსონი და სორენსენი ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ ღირებულებებზე: ღიაობა და გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტურობა, კანონის უზენაესობა. ვანდერვაალი, ნაბაჩი, დე გრაფი (Van der Wal, Nabatchi, & De Graaf, 2015) „საჯარო ადმინისტრირების ამერიკულ მიმომხილველში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, „გალაქტიკურობიდან უნივერსალიებისკენ“, მთელი 40 წლის მანძილზე (1969-2012 წ.-წ.), საჯარო ღირებულებების თემაზე მიძღვნილ 397 პუბლიკაციის მეტაანალიზს ახდენენ, ნაშრომებს სიღრმისეულად განიხილავენ და აჯამებენ. ავტორები აღნიშნავენ: მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ღირებულებების (public values, PVs) შესწავლას აურაცხელი კვლევა მიეძღვნა მთელი რიგი კითხვები კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება.

ჰელიველი, ჰუანგი და ვანგი (Helliwell, Huang & Wang, 2017) საჯარო მმართველობის პრინციპებსა და ბედნიერების ღირებულებებს შორის გარკვეულ მიმართებებს ხედავენ. ღიაობის, ანგარიშგებისა და ნდობის შესახებ ღირებულებათა

ორიენტაციას ამერიკული კონსალტინგური კომპანია „ედელმანი“ (ედელმანის ნდობის ბარომეტრი, Edelman Trust Barometer) იკვლევს. ანგარიშებში აქცენტირებულია ნდობისა და საჯაროობის პირდაპირპროპორციული კორელაციები.

შვარცის (Schwartz, 1994) თანახმად ღირებულებები ემყარება ინდივიდის ბიოლოგიურ საჭიროებებზე კოორდინირებული სოციალურ ურთიერთქმედების აუცილებლობას და ჯგუფების გადარჩენისა და კეთილდღეობის მიზნების დაკმაყოფილებას, ამიტომ ყველა კულტურას მიესადაგება. როკიჩმა (Rokeach, 1973), ღირებულებები წარმოადგინა, როგორც ქცევის განმსაზღვრელი მოტივაციური და შეფასებითი, პრესკრიპტული და პროსკრიპტული ფუნქცია. ღირებულებების ადამიანის ცხოვრებაზე გავლენის კვლევას შეეხება მილტონ როკიჩის ნაშრომი - ადამიანის ღირებულებების ბუნება (Rokeach, 1973). როკიჩი ღირებულებებს საზოგადოებისა და პიროვნების კვლევის მიმართებაში დამოკიდებულ ცვლადად მიიჩნევს, მაგრამ სოციალური ქცევების შესწავლის დროს ის დამოუკიდებელი ცვლადია. როკიჩმა 36 ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულება დაადგინა, რომლის იერარქიული ცვლით ორგანიზაციულ ეთიკურ-ღირებულებით მდგომარეობას სწავლობდა. როკიჩი მიიჩნევს, რომ ტერმინალური და ინსტრუმენტალური ღირებულებები ყველა ინდივიდს გააჩნია.

ჯონ ჰოლანდის (Holland, 1997) თეორიის მიხედვით მოხდა ისეთი ფაქტორების კლასიფიკაცია, როგორიცაა: უნარი, მიდრეკილება, ინტერესი და ამის საფუძველზე პროფესიული უპირატესობების კითხვარი შემუშავდა. კვლევის მონაცემების ბაზაზე გამოავლინა პროფესიული ორიენტაციის ტიპები.

ჰოფსტედე (Hofstede, 2002) გამოყოფს ქცევის 6 ძირითად პროგრამას, რომელიც ყველა ეროვნულ კულტურაში განსხვავებულია. ასევე, გამოვლინდა სოციო-კულტურული განსხვავებულობის ექვსი დონე. ჰოფსტედე დაასკვნის, რომ კულტურული მრავალფეროვნების მიზეზი ახალ გარემოსთან შეგუებაა. კულტურული მრავალფეროვნების სხვა მიზეზად

ჰოფსტედე ეროვნულ ფაქტორს მიიჩნევს. ჰოფსტედეს მიხედვით ერის ინტეგრაციის ფაქტორებია: სახელმწიფო ენა, დამწერლობა, საერთო ისტორია, ეროვნული კულტურული ღირებულებები, განათლების ეროვნული სისტემა, ერთიანი სადღესასწაულო კალენდარი, ერთიანი სიმბოლოები და ემოციური გამოხატულებები, გარკვეული უნარების ეროვნული ბაზარი, პროდუქტები და მომსახურება. ჰოფსტედეს კულტურული განზომილებებია: ძალაუფლებრივი დისტანცია (PDI), ინდივიდუალიზმი (IDV), მასკულინურობა (MAS), გაურკვევლობის თავიდან აცილება (UAI), გრძელვადიანი ორიენტაცია (LTO), თვითრწმენა - თავშეკავება (IVR).

მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები

კვლევის ინსტრუმენტები: სოციოლოგიური კონსტრუქტების გასაზომად გამოვიყენეთ ჰოფსტედეს კულტურული განზომილებების კითხვარი. მიზანი იყო ჩვენს მიერ შერჩეული კითხვების, დედანთან მაქსიმალურად შეჯერება, რათა შედეგად სანდო და ვალიდური კვლევის ინსტრუმენტი მიგვეღო. ამ ეტაპზე კითხვარი კვლევის მიზნებსა და ამოცანებს სრულად აკმაყოფილებს. ამას მოწმობს ჩენს მიერ განხორციელებული ფაქტორული ანალიზიც, თუმცა მომავალში, მის კიდევ უფრო დახვეწას და ხელახალ რედაქტირებას არ გამოვრიცხავთ.

რაოდენობრივი კვლევის კონსტრუქტების გასაზომად კითხვარი გამოვიყენეთ. კითხვარი, როგორც ინსტრუმენტი თვითანგარიშის საზომსაც წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლადის შესაბამის რამდენიმე დებულებას შეიცავს. კითხვა-დებულებები კონსტრუქტის ოპერაციონალიზაციიდან გამომდინარე შეირჩა. კითხვარის შევსებისას, რესპონდენტებმა ამა თუ იმ დებულების შესახებ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს. კითხვები ერთი მთელის ორ პოლუს წარმოადგენდა და რამდენიმე წყვილი კითხვით კონკრეტული კულტურული განზომილებისადმი დამოკიდებულება ფიქსირდებოდა. კითხვების წყვილები რესპონდენტის წინაშე ერთ დებულებას პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით სვამდა. კითხვარის

დამუშავებამდე ყველა კითხვას მიმართულებები გადავუნაცვლეთ ისე რომ, ყველა პასუხი თავ-თავისი მიმართულებით დალაგდა.

ვეცადეთ, რომ საზომ ინსტრუმენტს ყველა სოციომეტრული მახასიათებელი დაეკმაყოფილებინა, ყოფილიყო: სანდო, ვალიდური, კონსისტენტური საზომი. ყველა ეს მახასიათებელი კორელაციური ტექნიკით გადავამოწმეთ. კითხვარის შექმნისას პირველადი ფაქტორული ანალიზი გამოვიყენეთ, რითაც კითხვარის შემადგენელი დებულებების ფაქტორული რაოდენობა განვსაზღვრეთ. კვლევის პირველ საველე ეტაპზე კითხვარების ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად მონაცემები შეგროვდა. რაც განვახორციელეთ პრინციპით: 1 კითხვა-1 მონაცემი. სატესტო რეჟიმის დონეზე 150 შევსებული კითხვარი მოვიპოვეთ. პანდემიით გამოწვეული დიდი კრიზისის გამო გადაწყდა, რომ კვლევის ძირითადი პროცესი ანუ მეორე ეტაპის საველე სამუშაოები, მთლიანად ღრუბლოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით შეგვეგროვებინა. ღრუბლოვანი ტექნოლოგიის საშუალებით კვლევის ორგანიზების ეფექტურობა მკვეთრად იზრდება, ხოლო საველე საქმიანობისთვის საჭირო კვების, საცხოვრებლისა და ტრანსპორტირების ხარჯები მკვეთრად კლებულობს. ვისარგებლეთ დაბალი ინფრასტრუქტურული და ადმინისტრირების ხარჯების მქონე გარე ღრუბლოვანი სერვისებით. ღრუბლოვანი ტექნოლოგიის სარგებლობის დროს ყველაზე დიდი რისკს „ღრუბელში“ მოთავსებულ ინფორმაციაზე მომხმარებლების წვდომის კონტროლი და მისი ადმინისტრირება წარმოადგენს. ამ მიმართულების კვლევის დროს დაშვებულმა მცირედმა უყურადღებობამ რამდენიმე ტესტის გაბათილებაც კი გამოიწვია. კითხვარები გუგლის ღრუბლოვანი მეხსიერების პლატფორმაზე, გამოკითხვის ჩატარების შესაბამის ფორმატში დამაგრდა. რესპონდენტებს კითხვარების ბმული დაეგზავნათ. კითხვარების შევსება ნებაყოფლობითი იყო, ამასთანავე, ატვირთული კითხვარები ანონიმურობის დაცვის სრულ გარანტიას იძლეოდა, რითაც კვლევის ეთიკის ჩვენს მიერ გაცხადებული პრინციპი სრულად

იქნა დაცული. ინსტრუმენტების ფაქტორული სტრუქტურისთვის, სტრუქტურული განტოლების მოდელირების ტექნიკით, შევიმუშავეთ ფორმულები.

$$\Sigma CD1_{odd(pro)} - \Sigma CD1_{odd(con)}$$

$$\Sigma CD1_{even(pro)} - \Sigma CD1_{odd(con)}$$

სადაც: CD1 აღნიშნავს - პირველ კულტურულ განზომილებას (Cultural Dimension, CD), ამ შემთხვევაში ძალაუფლებრივი დისტანციის ინდექსს; Σ - ჯამს; odd - კენტ რიცხვებს; even - ლუწ რიცხვებს; pro – „დიახ“ პოზიციას; con – „არა“ პოზიციას.

მეოთხე კულტურული განზომილების გასაზომად სერიული შერჩევის ფორმულებით ვიხელმძღვანელებთ:

$$\Sigma_{n=1}^{35} 2n \Sigma CD4_{odd(pro)} + \Sigma_{n=2}^{36} 2n \Sigma CD4_{even(con)}$$

$$\Sigma_{n=2}^{36} 2n \Sigma CD4_{odd(con)} + \Sigma_{n=1}^{35} 2n \Sigma CD4_{even(pro)}$$

სადაც: CD4 აღნიშნავს მეოთხე კულტურულ განზომილებას - გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსს; Σ - ჯამს; $\Sigma_{n=1}^{35} 2n$ – „დიახ“ პოზიციის გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი ინდექსისკენ მისწრაფებას; $\Sigma_{n=2}^{36} 2n$ – „არა“ პოზიციის გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი ინდექსისკენ მისწრაფებას; odd - კენტ რიცხვებს; even - ლუწ რიცხვებს; pro – „დიახ“ პოზიციას; con – „არა“ პოზიციას.

რესპონდენტების მიერ შევსებული ყველა კითხვარი დამუშავდა აქ განხილული პროცედურებით. კითხვარების დამუშავების პროცესი საკმაოდ შრომატევადი იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ რესპონდენტის პასუხის არჩევის ინდექსი ოთხზე ნაკლები თითქმის არცერთში არ ყოფილა.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კულტურული განზომილების ექვსი ბლოკის დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის დამაკმაყოფილებელი შედეგები, რაც, საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების სოციოკულტურაზე, ეროვნული კულტურის გავლენის შესწავლის თვალსაზრისით, მათი გამოყენების საშუალებას გვაძლევს. სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიკაციის შემდეგ აღნიშნული კითხვარი,

მისაწვდომი იქნება სსო-ების ადმინისტრატორებისთვის, რათა დამოუკიდებელი კვლევის მიზნით მისი შეუზღუდავად გამოყენება შეეძლოს.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

საჯარო მართვის კვლევებში ღირებულებების ადგილი ცალსახად გამოკვეთილი არ არის. ამას ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად შერჩეული სსო-ის მდგომარეობაც ემატება.

პირველი პრობლემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების ერთი ნაწილის მტკიცებით უნივერსალური ზოგადი ცნებების, გონებისგან დამოუკიდებლად, არსებობა რეალურია, თუმცა ეს გრძნობით რეალობას არ შეეხება. მათი თვალსაზრისით თუ ცოდნა ინდუქციის გზით მიიღება, ეთიკურ-ღირებულებითი დეკლარაციები - განცდით, ამდენად კვლევა ნომოთეტური, ინდუქციური და ღირებულებებისგან-თავისუფალი, რაციონალური, შემოწმებადი და ვერიფიცირებადი უნდა იყოს (პოზიტივიზმი). საჯარო მართვის სხვა მკვლევარებს ადამიანური ღირებულებები და ეთიკური ნორმები გემოვნების საკითხად მიაჩნიათ. მათი შეხედულებით, ადამიანს ღირებულებების არჩევა თავისუფლად შეუძლია. ისინი, კონკრეტული ინდივიდის გონების გარეშე, ღირებულებების და ზოგადად უნივერსალური ცნებების არსებობასაც კი უარყოფენ (ანტიპოზიტივიზმი, პოსტმოდერნიზმი). ნომინალისტური მოსაზრებებიც ამ შეხედულებასთან ახლოს დგას, ის რეალობად მკვლევარის ინტერპრეტაციას მიიჩნევს. მკვლევარების ერთი ჯგუფის აზრით საჯარო მმართველობა სულაც არ არის მეცნიერება, თუმცა მისი მეცნიერული შესწავლა შესაძლებელია, ამასთან ისე, რომ ღირებულებებს გვერდი უნდა ავუაროთ, რადგან პრაქტიკულად იქ ის არ არსებობს (ლოგიკური პოზიტივიზმი, ჰერბერტ საიმონი). ცალკეული მეცნიერული მოსაზრების მიხედვით მკვლევარმა მეცნიერული კვლევა საკუთარი პერსონალური ღირებულებების სამსხვერპლოზე არ უნდა მიიტანოს. ამ შეხედულების მიხედვით მეცნიერს აუცილებლად

უნდა გააჩნდეს საკუთარი ღირებულებები, რომლის გამოხატვისგან თავი მხოლოდ სალექციო აუდიტორიაში შეიძლება შეიკავოს, და არა საჯარო გამოსვლებსა და კვლევებში: მორალურ ინდიფერენტულობას მეცნიერულ „ობიექტურობასთან“ - საერთო არაფერი აქვს. ღირებულებების შესახებ საერთო შეთანხმებას ადამიანის ძალისხმევა განაპირობებს (ვებერი). საჯარო მართვის, როგორც პოსტნორმატიული მეცნიერების მომხრეები თვლიან, რომ გლობალური საფრთხეების ზრდასთან ერთად მეცნიერების მნიშვნელობაც იზრდება, რაც გაურკვევლობის უკიდურესი დამაბულობითა და ღირებულებების დევალვაციის ფონზე მიმდინარეობს (სილვიო ფუნტოვიცი, ჯერომ რავეტზი). მეცნიერების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ცოცხალი ადამიანი ღირებულებების გარეშე არ არსებობს და შესაბამისად მის გარეშე საჯარო მმართველობაც ვერ იარსებებს. მათ სოციალური მეცნიერებების მკაცრად მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინსტრუმენტარით კვლევა გაუმართლებლად მიაჩნიათ (დუაით ვალდო).

მეორე პრობლემა სსო-ის ინსტიტუციონალურ სტატუსს შეეხება. სსო-ები სახელმწიფოში არსებულ ორგანიზაციათა შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები არიან. მათი აქტორების რიცხვი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 24%-ს შეადგენს. მათ დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდზე მეტი ლარია გამოყოფილი (2021 წლის ბიუჯეტის გათვლით). მთავრობაც და ოპოზიციაც შეთანხმებულია, რომ სსო-ების აქტორების საარჩევნო პროცესებში ჩართვა - ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად ითვლება. ადმინისტრაციული რესურსის ცნების ზუსტი დეფინიციის არარსებობის გამო, სსო-ების რესურსების საარჩევნო სუბიექტის ან კანდიდატის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების შანსს იძლევა. ამასთან, ის ადმინისტრაციული, კერძოდ - ინსტიტუციურ რესურსებისთვის წაყენებულ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. საქართველოში, როგორც წესი, საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის - სსო-ების საოფისე ტექნიკა, შენობა-ნაგებობები, მისდამი

დაქვემდებარებული აქტორები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსები მთელი დატვირთვით გამოიყენება.

მდგომარეობას კიდევ უფრო აზუსტებს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებისა და სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი დოკუმენტი - სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით სწავლის სფეროები კლასიფიცირდება შინაარსობრივი დაჯგუფების პრინციპით და მოიცავს ფართო სფეროს, ვიწრო სფეროს და დეტალურ სფეროს. კლასიფიკატორში განათლების მენეჯმენტი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში ჯგუფდება, რომელიც თავის მხრივ - ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში. მათ გამაერთიანებელს ფართო სფეროს ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი წარმოადგენს.

მთელი ნაშრომი ღირებულებების რეალურ არსებობას, მისი იდენტიფიცირების და გაზომვის შესაძლებლობის მტკიცებას ეძღვნება.

1. საჯარო მართვის კვლევაში მნიშვნელოვანია მიზნის ზუსტად განსაზღვრა. ამ მიმართულების ნებისმიერ კვლევას თავისი ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური საფუძვლები გააჩნია. წინამდებარე კვლევა კი აქსიოლოგიური მიდგომით წარიმართა. კვლევის გზაზე არაერთი ხაფანგისგან თავის დაზღვევა იყო საჭირო, როგორცაა: დეტერმინიზმი, ობიექტივიზმი, ვულგარული მატერიალიზმი, ნომინალიზმი და სხვ. რადგანაც კვლევამ, ჩვენს წინაშე არსებული პოსტმოდერნული ეთიკის ანტინომიურობის დამღვევის ამოცანა დასახა, შესაბამისად: თავი უნდა აგვერიდებინა რელატივისტური სუბიექტივიზმისგან, უნდა დაგვესაბუთებინა საჯარო მართვაში ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობა და მათი გავლენები, თავი უნდა შეგვეკავებინა: პროცესიზმისგან, ჰედონიმიზმისგან, სკეპტიციზმისგან, ინტენციონალიზმისგან,

ვოლუნტარიზმისგან, ნომინალიზმისგან, რადიკალური ინდივიდუალიზმისგან და ნიჰილიზმისგან.

საჯარო მართვის კვლევები ხასიათის, მიზანდასახულობისა და კონცეპტუალური სტრუქტურის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება და ამის ბუნებრივი მიზეზებია: სოციალური ურთიერთობების განვითარება, ახალი გამოწვევები, კვლევისა და პრობლემების იდენტიფიცირების ახლებური მიდგომები, ორგანიზაციული მართვის ახლებური ხედვა. საჯარო მმართველობის კვლევა არ არის „თავისთვის“, არამედ მას გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, კერძოდ სოციოკულტურული გარემოს კვლევის მიზანი საჯარო მმართველობასა და საზოგადოებას შორის არსებული ნაპრალის ამოვსებაა. ამისთვის არგუმენტირებული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისთვის მისაღები და გასაგები ფორმით კონსტრუირება დაგჭირდა.

საჯარო მმართველობაში ეთიკურ-ღირებულებითი ორიენტირების კვლევას მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ, რადგან საჯარო მმართველობაზე გავლენის მქონე სოციოკულტურული ღირებულებების კვლევის გარეშე - მცდარი დასკვნებისა და სიმულაციების რისკები მატულობს.

2. განათლების მართვა სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მიზნების შესაბამისად ხორციელდება. შეუძლებელია ერთიდაიგივე განათლების, ეთიკის, კულტურის, მართვის პროექტები განსხვავებული პრობლემების, საჭიროებების, მიზნებისა და კულტურის სახელმწიფოებში განხორციელდეს. საჯარო ორგანიზაციის ქცევის გასაგებად საჭიროა შეხედულებების, ღირებულებების, მოლოდინების, ეთიკური პარადიგმების მთელი სპექტრის დანახვა. ჰოფსტედეს ორგანიზაციული კულტურის მოქმედების ალგორითმების გამოსავლენად კულტურული განზომილებების თეორიის შემოტანა დასჭირდა. კულტურული განზომილებების გავლენა შესამჩნევია ყოველდღიურ ცხოვრებაში, აკადემიური საქმიანობის დროს ან თუნდაც სამოქალაქო აქტივობებში, რაც ხშირად საჯარო მმართველობისთვის სტიმულისა და

შემოქმედებითი იმპულსის მომცემია. ეროვნული კულტურული ღირებულებების გააზრების გარეშე საჯარო მართვა საოკუპაციო და საეგზეკუციო ჯარების მნიშვნელობას იძენს. ეროვნული კულტურული პროგრამების გარეშე საჯარო მართვა ვერც საჭიროებების იდენტიფიცირებას, ვერც სტრატეგიული გეგმის შედგენას ვერ შეძლებს.

3. ნაშრომი, ბუნებრივია ყველა ქვეყნის საჯარო მართვის ორგანოების ეთიკური კოდექსების შედარებით ანალიზს ვერ მოიცავს. კვლევაში ეთიკური კოდექსებისა და პროფესიული სტანდარტების დონეზე წარმოდგენილი ღირებულებითი სისტემების შედარებითი ანალიზის განხორციელება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. რეგიონების სოციო-კულტურული ასპექტების შესწავლის ფონზე ღირებულებებისა და ეთიკური კოდექსების მსგავსება-განსხვავებების გამოკვლევა სადისერტაციო ნაშრომის თემა არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვეცადეთ სხვადასხვა კონცეფციები და შეხედულებები წარმოგვედგინა საჯარო მართვაში ეთიკური ღირებულებების აქცენტირებით. ეთიკური კოდექსები მოქმედებს თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების, მედიცინის, სახელმწიფო დაცვის, მედიის, პირადი ინფორმაციის დაცვის, აუდიტისა და ფინანსური აღრიცხვის მიმართულებებით და ყველა ინსტიტუციის ღირებულებები, მათი პროფესიული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, განსხვავებულია. პატიოსნებაზე, სამართლიანობასა და ნდობაზე ორიენტაცია ყველა მათგანს აერთიანებს. სადისერტაციო კვლევა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ორგანიზებულ და ადმინისტრირებულ საჯარო საქმიანობაზე, რომლის ინსტიტუციონალურ-ფუნქციური დანიშნულება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით განათლების უფლების რეალიზებაა.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მართვის იურიდიული დოკუმენტების გასაანალიზებელ ინსტრუმენტად გამოვიყენეთ. ზოგადი განათლების ღირებულებების, მიზნებისა და ქცევების ანალიზისას სისტემური მართვის ყველა ძირითადი ნორმატიული აქტი ეთიკური პარადიგმების ლოგიკურ ჩარჩოს დაუქვემდებარეთ.

განვითარებადი ქვეყნებისთვის ათასწლეულის განვითარების მიზნები ყურადღებას სიღარიბესა და განათლების არათანაბარ წვდომაზე ამახვილებს. ჩვენი ქვეყნის მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ ამ პრობლემების გადაჭრა ურთულესი იქნება.

ათასწლეულის განვითარების მიზნების ფუნდამენტური ღირებულებაა საყოველთაობა და თანასწორობა. ყველას განათლება ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობებს ამცირებს. არსებობს ხარისხიანი განათლების ისეთი კრიტერიუმებიც, რომლებიც საქართველოსთვისაც სანიმუშო შეიძლება იყოს. ასეთია თანამშრომლობის ნორვეგიული სააგენტოს მიერ განსაზღვრულ განათლების ხარისხის კრიტერიუმები, რომლებშიც ღირებულების, ქცევისა და მიზნის ურთიერთმიმართებები ჰარმონიზებულია. ნორვეგიელების აზრით მასწავლებელი (ვინ), სწავლების შინაარსი (რით), სასწავლო გარემო (სად), სკოლის მართვა (როგორ რეჟიმში), სწავლების წინაპირობა (ვისთვის), დაფინანსება და ორგანიზება (რა საშუალებებით) ხარისხიანი განათლების განმახორციელებლებს წარმოადგენენ, მაშასადამე მიზანიც სწორედ ეს არის.

4. საბოლოოდ, კვლევაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფის სოციოკულტურული მოლოდინები, ჰოფსტედესეულ კულტურულ განზომილებებს შემდეგნაირად შეესაბამება:

ძალაუფლებრივი დისტანციის ინდექსი - მცირე, ინდივიდუალიზმის ინდექსი - დაბალი, მასკულინური ინდექსი - მცირე, გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსი - მაღალი, ხანგრძლივი ორიენტაციის ინდექსი - მაღალი, თვითრწმენა- თავშეკავების ინდექსი - მაღალი.

ვფიქრობთ, რომ მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვანი იქნება პიტირიმ სოროკინის შეხედულებების სიღრმისეულად შესწავლა. სოროკინი განათლების სამ უმთავრეს მიზანს გამოკვეთს: აღსაზრდელებისთვის სიცოცხლის სიყვარულის გაძლიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას და არაძალადობრივი ქცევის ჩვევების გამომუშავებას. სიცოცხლე,

როგორც მრავალფეროვნების, თვითგანვითარების, თვითსრულყოფილებისა და თვითორგანიზების მშვენიერი, საოცარი და დიდებული სამყარო ბავშვის წმინდა გულს მაგნიტივით იზიდავს, ამასთან მართალი სიცოცხლის უწყვეტ რიტმში ბავშვის უბოროტო, წრფელი, სათნო ბუნება საკუთარ თავს გამუდმებით შეიმეცნებს, როგორც: მცირე სამყაროს - დიდ სამყაროში, სულიერ და ხორციელ მთლიანობად, ცვალებადობაში - მარადიულის ამომცნობად. ასეთი სიცოცხლის მიმართ ბავშვს ძლიერი სიყვარულის გრძნობა უყალიბდება. პასუხისმგებლობას მართალი სიცოცხლის სიყვარული შობს, რომელიც როგორც ეთიკური მოქმედების ენერგია სიკეთის ქმნას ესწრაფვის, სიცოცხლეს ბედნიერს ხდის, ბავშვს პიროვნებად აყალიბებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

სამეცნიერო-თეორიული მასალისა და ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებით დავადასტურეთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციების ეფექტიან ფუნქციონირებას და ხარისხიან განათლებას:

- საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს განსხვავებული სოციოკულტურული გარემოს კულტურულ-ღირებულებითი პროგრამები.
- საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ორგანიზაციული მართვის ლოგიკა, პატერნები და პარადიგმები განპირობებულია ადგილობრივი სოციოკულტურული რეალობით.
- ეროვნულ-კულტურულ პროგრამებზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: შეცვლილი გარემოებები, რელიგია, კულტურული პატერნები და ეროვნული მენტალიტეტი.

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ღირებულებებზე და მის საქმიანობაზე ზეგავლენას ახდენს ეროვნულ-კულტურული პროგრამები.

➤ საჯარო საქმიანობის არასწორი ადმინისტრირების მიზეზს - ეროვნულ-კულტურული პროგრამების უგულვებელყოფა, ხოლო შედეგს - ინსტიტუციური დისფუნქცია წარმოადგენს, ყველა თავისი ნეგატიურობით, იქნება ეს: ბავშვთა შიმშილობა, ადრეულ ასაკში ქორწინებები, ბავშვთა პროსტიტუცია, ნარკომანია თუ ტოქსიკომანია, კომპიუტერული ადიქციები თუ გემბლინგი და სხვა;

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავების დროს არ არის გათვალისწინებული ეროვნულ-კულტურული ღირებულებები, რის გამოც მართვის პროცესები არის ცენტრალიზებული და განწირულია ავტოკრატიული მმართველობისათვის.

➤ სიღარიბე, როგორც შესაძლებლობების არარსებობა და მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა, გავლენას ახდენს საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე.

➤ იკვეთება განათლების ადმინისტრირების კვლევის თეორიული ბაზის სიმწირე, რაც საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების რესურსების არქონით არის განპირობებული, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი ეროვნული კულტურული ღირებულებების როლი და მნიშვნელობა.

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ორგანიზაციულ კულტურაზე გავლენის მქონე ძირითადი ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებს ეთიკურ პარადიგმებს. ცალკეული ნორმატიული დოკუმენტების შინაარსსა და პრაქტიკაში აღმოჩენილია ანტინომიურობის ელემენტები.

➤ საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკაში იკვეთება შინაარსისა და ფორმის ასინქრონულობა.

➤ ღირებულებათა დევალვაციის სოციოკულტურული და ეპისტემოლოგიური ფაქტორების ანალიზით იკვეთება, რომ ინფორმაციის გადაცემასა და მიღებულ ცოდნას შორის არის შეუსაბამობა.

➤ ჰოფსტედეს თეორიის შესაბამისად, კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს სსო-ების კულტურული განზომილებების დინამიკა ძალაუფლებრივი დისტანციის, ინდივიდუალიზმის და მასკულინობის - დაბალი მაჩვენებლით, ხოლო გაურკვევლობის თავიდან აცილების, ხანგრძლივი ორიენტაციის და თვითრწმენის - მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება.

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში მაღლა დგას კანონის პატივისცემა - ხელმძღვანელის ავტორიტეტთან შედარებით, კოლექტივი - ინდივიდთან შედარებით, ფემინურობა - მასკულინობასთან შედარებით, სტანდარტულ-პროტოკოლური განაწესები - ყოფიერების ცოცხალ მოულოდნელობებთან შედარებით, ჯილდოს მოლოდინი - „აქ და ახლა“ პრინციპთან შედარებით და თვითრწმენა - თავშეკავებასთან შედარებით.

➤ საჯარო მმართველობაში ნაკლებად გამოიყენება კვლევის აქსიოლოგიური მიდგომები, აღნიშნული კი აფერხებს მართვის ეფექტიანობას.

➤ საჯარო საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზაში არ არის მოცემული საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის (სსო) და კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციის (კსო) განმარტებები.

➤ იკვეთება, რომ საქართველოს სსო-ში მცირე ძალაუფლებრივი დისტანციის მოლოდინი არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალისთვის მისაღებია უთანასწორობის მინიმალიზება, მეტი და ნაკლები ძალაუფლების მქონე პირთა შორის მეტი ურთიერთდამოკიდებულება, როლების პირობითი უთანასწორობა, მეტი ავტონომია, ხელმძღვანელისა და ხელქვეითის სახელფასო ანაზღაურებაში მცირე განსხვავება,

მეტი რეალური მონაწილეობა და ჩართულობა, ლიდერის მოქნილობა და მოხერხებულობა, პრივილეგიების დაუშვებლობა, მეტი თვითორგანიზება, მერიტოკრატიულობა, ეგალიტარულობა, ძალაუფლების მქონეთა გარეგნული თანასწორობა, ევოლუციური განვითარება, ხელქვეითის ინტერესების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. აქტორ-რესპონდენტების ხედვით სსო-ს მომავალი ისეთი უნდა იყოს, სადაც მასწავლებელი მოსწავლეს მოეპყრობა, როგორც თანასწორს; ახალგაზრდა მასწავლებლობა მისასალმებელი იქნება; განათლების პროცესი კიდევ უფრო უპიროვნო გახდება; საერთაშორისო დახმარების დიდი ნაწილი თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალო განათლებაზე იქნება მიმართული.

➤ ვლინდება საქართველოს სსო-ში არსებული ინდივიდუალიზმის დაბალი ინდექსი, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალისთვის მისაღებია: ერთმანეთზე ზრუნვა, წვრთნა და აღჭურვა უნარების გასაუმჯობესებლად; კომფორტული გარემო; ასაკისა და სიბრძნის პატივისცემა; ტრადიციების პატივისცემა და ცვლილებებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება; ერთგულება და სოლიდარობა; საკუთარი ოჯახით, სულიერი ღირებულებებით, ჯგუფის წევრობით გამოწვეული სიამაყის განცდა. არსებობა ანუ ბრძოლა გადარჩენისათვის; გუნდური მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარება, შრომის ბაზარზე ადრეული ასაკიდანვე საკუთარი ადგილის დამკვიდრება, ნაცნობი და სანდო ადამიანების გარემოცვაში ყოფნა; მნიშვნელოვანია: გარეგნობა, ჩაცმის სტილი, სხვადასხვა აქსესუარები, მეგობრების და ნაცნობების წრე, სირცხვილის გრძნობა.

➤ ვლინდება საქართველოს სსო-ში არსებული მასკულიზმის დაბალი ინდექსი, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალისთვის დამახასიათებელია: თავმდაბლობა; შემწყნარებლურობა; მოქმედება თავისუფლების პრინციპით, რომლის თანახმადაც, დასაშვებია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული; შრომა ცხოვრებისთვის; უინტერესო და იძულებითი საქმიანობა; დღენიადაგ შაბათ-კვირისა და სამოქალაქო უქმეებს მოლოდინი;

ინტუიციას მინდობილი და გადაწყვეტილების კონსენსუსის გზით მიმღები ხელმძღვანელი; კეთილდღეობის და კომფორტის ინკლუზიური სამუშაო გარემო; ბუნების დაცვა; პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა.

➤ ვლინდება საქართველოს სსო-ში არსებული გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი ინდექსი, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალისთვის დამახასიათებელია: გაურკვევლობის წინააღმდეგ ბრძოლა; მაღალი სტრესული ფონი და შფოთვა; წესებისადმი დამოკიდებულება; დრო - ფულია; დასაქმებისადმი დამოკიდებულება; სიზუსტე და პუნქტუალობა; გატაცება: საზოგადოებაში არსებული დევიანტური აზრებისა და ქცევების გამოვლენა და მათი ჩახშობა; უსაფრთხოება; კანონებისა და რეგულაციების სიზუსტე; ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა არაკომპეტენტურობის ნიშანია; ინსტიტუტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება; ახალგაზრდობის მიმართ სკეპტიციზმი; ექსპერტების ნდობა; საკმაოდ სტრუქტურირებული და ფორმალიზებული საქმიანობა; პროფესიული რანგები; ერთფეროვანი სტანდარტული პროცედურები; ადმინისტრატორების განსაკუთრებული სიფრთხილე; შრომითი კმაყოფილების მაღალი დონე; კამერები დერეფნებში, ოთახებში, ტრანსპორტში, ქუჩებში, სკვერებში; მანდატურები.

➤ ვლინდება საქართველოს სსო-ში არსებული თვითრწმენის მაღალი ინდექსი, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტორ-რესპონდენტებისთვის დამახასიათებელია: სურვილებისა და იმპულსების გამოხატვის თავისუფლება; აზრისა და სიტყვის გამოხატვის წახალისება; ტრადიციული სოციალურულ-ნორმებისგან სტერილური ცხოვრება; მეგობრობა, მეზობლობა და მოყვასის პატივისცემა; მოცალეობა; ოპტიმისტური განწყობა; ექსტრავერტულობა; კრიმინალის მაღალი დონე; სიმსუქნისა და ჭარბწონიანობისკენ დიდი მიდრეკილება.

➤ ვლინდება საქართველოს სსო-ში არსებული ხანგრძლივი ორიენტაციის მაღალი ინდექსი, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონალისთვის დამახასიათებელია: თვითკონტროლი,

თავშეკავება და სურვილების დაოკება; უფროსები ზრუნავენ უმცროსებზე; ზუსტი და მათემატიკური მეცნიერებები, სინთეზური აზროვნება; მომავლის გეგმების სკრუპულოზური შესრულება; მოქმედება პრინციპით: თავისუფლება-ეკონომიკურ თავისუფლებაში; პრაქტიკული მოქმედება; მაღალი რეგისტრის კომუნიკაცია.

➤ ძალაუფლებრივი დისტანციისა და ინდივიდუალიზმის ინდექსებს შორის აღმოჩენილია ჰოფსტედესგან განსხვავებული კორელაცია, რაც იმის დასტურია, რომ სსო-ებში საშუალო, და არა მცირე ძალაუფლებრივ დისტანციაა, რაც ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის მდგომარეობას ძალიან ჰგავს.

➤ დადგენილია ინდივიდუალიზმისა და ხანგრძლივ ორიენტაციას შორის კორელაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ კოლექტივისტური კულტურული განზომილების მქონე ორგანიზაცია იმავდროულად ხანგრძლივი ორიენტაციის კულტურული განზომილების მატარებელიც არის.

➤ არსებული მეცნიერული მიგნებებისა და აღმოჩენების ფონზე გამოვლინდა მომავალი კვლევის შედარებითი ანალიზის მიმართულებები: თბილისის და ზუგდიდის კულტურული განზომილებების შედარებითი ანალიზი; მასწავლებლებისა და საჯარო მმართველების პასუხების შედარებითი ანალიზი; ხანმოკლე და ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე აქტორ-რესპონდენტთა პასუხების შედარებითი ანალიზი; ქალაქისა და სოფლის საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების აქტორ-რესპონდენტთა პასუხების შედარებითი ანალიზი.

➤ კვლევის არსებული მონაცემების ფონზე გამოვლინდა მომავალი კვლევის მიმართულებები, კერძოდ გამოსარკვევია: ხომ არ ნერგავს ინდივიდუალისტური ქცევის პროგრამით მოქმედი ელიტა მასებში - კოლექტივისტური ქცევის პროგრამებს; ხომ არ ანაცვლებს ტრადიციულ კულტურაში დამკვიდრებული ქცევის მასკულინურ პროგრამას ფემინურით, მაშინ, როცა თავად ელიტა - მასკულინურია; ხომ არ არის საჯარო მმართველი ელიტა დიდ ძალაუფლებრივ დისტანციაზე ორიენტირებული, მაშინ, როცა ხელქვეითებში დადებით

მოლოდინებს მცირე ძალაუფლებრივი დისტანციის კულტურული პროგრამების მიმართ აჩენს

წარმოდგენილი დასკვნებიდან გამომდინარე, შემუშავდა საქართველოს საჯარო მართვის კვლევის განვითარების, ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ხარისხიანი განათლების მიწოდებისკენ მიმართული რეკომენდაციები:

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა სტრატეგიის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ განსხვავებული სოციოკულტურული გარემოს კულტურულ-ღირებულებითი პროგრამები.

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მართვის სტრატეგიაში, თანამშრომელთა მოტივაციისა და ეფექტური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი სოციოკულტურული რეალობის გათვალისწინება.

➤ საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზება.

➤ მნიშვნელოვანია საჯარო საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწა და მასში ეთიკური პარადიგმების გათვალისწინება, ასევე აუცილებელია საკანონმდებლო ნორმატივების აღსრულების მექანიზმების შემუშავება.

➤ განათლების ხარისხის გაზრდისა და სწავლის შედეგების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ღირებულებითი კონტექსტის გააზრება და აქედან გამომდინარე, სწავლა-სწავლების მეთოდების დახვეწა.

➤ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ტერმინოლოგიის სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციების იურიდიული სტატუსის შესაბამისად, მათი საქმიანობის ფორმის დაზუსტება,

მაგალითად, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოყენებულ იქნას ტერმინი - საჯარო საგანმანათლებლო ორგანიზაციის (სსო), ხოლო კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის - კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციის (კსო).

➤ საჯარო საქმიანობის არასწორი ადმინისტრირების თავიდან აცილების მიზნით, ხელმძღვანელების მხრიდან მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სოციოკულტურული კონტექსტის კვლევების განხორციელება, რაშიც მათ დაეხმარებათ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტი - ჰოფსტედის კულტურული განზომილებების კითხვარი. მომავალი კვლევებისთვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის კითხვარები მნიშვნელოვანია შესაბამის ენებზეც ითარგმნოს, რაც უფრო მეტი რესპონდენტის გამოკითხვის საშუალებას შეუწყობს ხელს. ეს იმითაც იქნება კარგი, რომ რესპონდენტს ინფორმაციის ზუსტად გაგებაში დაეხმარება.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Tamar Kapanadze

Sociocultural Context of Education in Public Administration

Educational programme: Public Administration

**Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Public
Administration**

Abstract

Tbilisi

2023

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: Zviad Miminoshvili
Doctor of Education, Professor

The date of the defense will be published on the website of
university: www.gruni.edu.ge

The defense of the dissertation will take place at Grigol Robakidze
University at a session of the Certifying Committee of Experts of the
School of Public Administration and Politics.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze
University, Tbilisi, Irina Eukidze №3 (David Agmashenebeli Alley
13).

Contents

Introduction	1
Summary of the paper	8
Review of scientific literature and theoretical context of research	12
Methodology, research description and results	14
Judgment and Scientific findings	17
Conclusions and Recommendations	22

Introduction

Research problematics and relevance of the topic: A nation possesses its own socio-cultural vision and a wide spectrum of ethical values, whereas organizations have the capability to establish distinctive national systems of management control. Public administration, along with nationwide goals, should understand the cultural values that underlie the existence of a particular state. The paper "Socio-cultural Context of Education in Public Administration" studies the public administration of social activities from the point of view of national cultural values.

The structure responsible for the content of the management of the education system has set the function of the social institution of education in different disciplines to repeat the same cognitive operation infinitely, i.e., receiving, organizing and simulating the use of information. The boundary between information and knowledge was eliminated, which caused education to lose the significance of accessing the essence of events, getting to know an idea, striving for inner peace and perfection, feeling freedom, and expanding the area of consciousness. In favour of genuine creativity and common sense, the values of the national culture should be taken into account, which has programs to encourage staff initiatives, leading to job satisfaction. Nowadays, contemporary public educational organizations witness a notable absence of job satisfaction among their staff members.

Since administrations lack the capacity to conduct independent investigations of their own operations, in Georgia, the study of public governance remains largely undeveloped; the existence of precedents pertaining to the exploration of the subject matter concerning the administration of education within the field of Public Administration is limited; The significance of national cultural values in the context of public administration remains largely unexplored. Within the realm of international studies, the investigation of values assumes considerable relevance when exploring this particular research direction. At different times, the influences of values were studied by:

Confucius, Montesquieu, Le Bon, Jung, Hofstede, Rokić, Schwartz, Inglehart. In this direction, world-renowned think-tanks carry out global research, such as: The Human Development Index (HDI), the World Happiness Report (WHR), the Democracy Index (DI), the World Freedom Index (WFI), the World Individualism Index (WII), the World Moral Freedom Index (WMFI), and the study of global values (WVS), among others.

Geert Hofstede, Emeritus of Organizational Anthropology and International Management at Maastricht University, a Dutch socio-psychologist who died on February 12, 2020, did a lot of work in terms of studying the influence of cultural values on the organization. He devised one of the earliest and most widely recognized frameworks for assessing national cultural dimensions. Hofstede studied six basic programs of behaviour different for each national culture. From his research, he deduced that behaviours might be subject to variability, whereas values remain constant and enduring. Hofstede identifies several factors as the causes of cultural diversity, including a new environment, religion, cultural patterns, and nationality. The latter represents a historical unity characterized by shared elements such as language, writing, history, a national education system, a mutual holiday calendar, common symbols and emotional expressions, and a national market for specific skills, products, services etc.

Subject and object of research: The object of research is a public educational organization. The subject of research is centred around the analysis of national cultural values within an organization. This study aims to address the tasks associated with organizational culture and seek resolution regarding the following: determining the compatibility of values, behaviour and goals; In the organization: explaining and describing the influences of power distance, individualism, masculinity, uncertainty, long-sightedness, self-belief.

The aim and main tasks of the study: Unveiling the factors and systemic challenges impeding the organizational creative capacity and efficacy; Establishing the values inherent in public educational institutions;

Discerning and identifying behavioural patterns impacting public administration.

Tasks: Formulating a research instrument for the purpose of empirical investigation; Generating preliminary hypotheses or forecasts; Identifying the research participants and target groups; Employing Hofstede's cultural dimensions to unveil the sociocultural values held by the respondents. The dissertation aims to clarify the challenges associated with public management of the education system, with a specific focus on identifying and analyzing the behavioural patterns that significantly impact the processes of learning and development.

The aim of the thesis is to determine the national cultural values influencing the organizational culture of PEO. Actualizing their importance to enhance institutional functions.

During the course of thesis research, it was imperative to examine both explicit and implicit but quite common behavioural programs in public educational organizations. For this purpose, we had to create a research tool, a questionnaire: Georgia - cultural dimensions. The research findings necessitated the identification of sociocultural expectations among the target groups, employing Hofstede's cultural dimensions as a framework and uncovering the primary trends observed within public educational organizations regarding: power distance, individualization - collectivism, masculinity-femininity, uncertainty avoidance, long-term - short-term orientation, self-confidence - self-restraint.

Concentrated problem: The dynamic evolution of educational administration protocols as a public undertaking often disregards the significance of national cultural values. Consequently, administration within public educational organizations tends to control formal and official processes only.

Hypothesis: How can the function of a public educational organization be enhanced by determining the value orientation inside and outside it, and through good governance and effective administration? In public administration, which is regarded as applied science, a

comprehensive understanding of national cultural values holds paramount significance as the institutional function of PEO encompasses the following key aspects: to benefit the best interests of the child, to form the student's value system; to create a stable, calm and joyful educational environment based on ethical values; to contribute to the national security of the state by properly performing the institutional function; to understand the totality of the universe; harmonization of actors' functions, development of students' ability to deal with real challenges.

Research Question: In what domains do national cultural values become apparent, and what impact do they exert on the management of public educational organizations?

Research objectives:

- Unveiling the concepts of systematic research of public administration;
- Utilizing educational organization management theories and scientific views to explain its socio-cultural functions;
- Investigating the values influencing the behaviour of CSO actors and recording their impact on practical activities;
- Formulating recommendations for improving the administration of CSOs.

Research tasks:

- Conduct a study of public administration research concepts, methods, and implementation methodology;
- Clarification of the role and status of public administration;
- Understanding the importance of research question formulation;
- Understanding the place of national cultural values in public administration;
- Study and characterization of organizational management theories;

- Studying the value aspects of different types of organizations: at the individual and organizational level, in the city and the countryside;
- Studying how PEOs define their goals and strategy without considering national cultural dimensions;
- Revealing the antinomy of regulatory norms and administration process of public educational organizations as one of the dangers;
- Theoretical and practical activities for creating questionnaires and collecting data;
- Analyzing questionnaires, developing procedures and algorithms;
- Data analysis;
- Generalizing the results of the third objective and developing practical recommendations per Hofstede's cultural dimensions.

Research results: A revised version of Hofstede's cultural dimensions questionnaire has been developed using scientific methodology to assess sociological constructs. Research instruments have been formulated, and the questionnaires completed by respondents have been processed following predetermined procedures. The socio-cultural context of social activities has been thoroughly examined through comprehensive questionnaires. National cultural values that impact public activities have been identified. In the realm of public administration, a discrepancy between content and form, as revealed in certain normative documents, has been observed. Hofstede's theory of cultural dimensions underscores the significance of the national cultural value system in public administration.

The research findings are as follows: the study highlights the importance of applying theoretical conclusions and practical recommendations of public educational organizations; emphasizes the significance of providing organizations with a tool to identify national cultural values; suggests the formulation of a management concept that prioritizes national cultural values; underscores the necessity of studying regional cultural values. Additionally, the research contributes by developing algorithms for conducting value research

using the newly created tools; proposes the development of a strategy for shaping organizational culture based on the obtained information.

The practical significance of the work: The research findings and recommendations presented in the thesis will make a substantial contribution to shaping the internal organizational culture of public educational organizations in Georgia. Furthermore, they will aid in the effective planning of short and long-term research endeavours related to national cultural values. Additionally, this work will serve as a valuable resource for researchers in the field of public management, enabling them to intensify and broaden their investigations in this area.

Within the scope of this research, questionnaires were developed and empirically tested to explore national cultural dimensions. Interested individuals in a public educational organization, after getting acquainted with the information properly, will have the opportunity to conduct research on values in a particular organization. To enhance the effectiveness of organizational management, it is crucial to develop a comprehensive strategic and tactical action plan and subsequently implement it consistently to establish a stable organizational culture.

Scientific innovation: It has been determined that a thorough examination of the behavioural programs and ethical values embedded in the country's culture is essential. This examination will contribute to the reinforcement of the organizational culture and the enhancement of work motivation among its personnel. New concepts and their definitions were introduced into scientific circulation: "public educational organization" and "private educational organization". The dissertation presents the results of a factor analysis conducted on the cultural dimension, which provides a foundation for their further utilization. Additionally, the national cultural program was studied for the first time in accordance with Hofstede's theory of cultural dimensions. Furthermore, the research established a significant precedent in recognizing the value of education as a public activity. The research concept, logic, methods, and paradigms were clearly defined. The work serves as a notable precedent in the public

administration of education. Furthermore, the research conducted will contribute significantly to the establishment and effective public administration of organizational culture.

Definitions of concepts introduced in scientific circulation:

Public Educational Organization - An organization with the status of a public law legal entity or a non-entrepreneurial (non-profit) legal entity established by a government agency or municipality of the relevant direction of the state for formal or informal education, whose main controller, reorganizer and liquidator is its founding state body. Owns for use: state-owned buildings and structures, land or real estate; Pupils and students do not pay tuition and educational service fees or pay per the rules established by law, and there are strictly defined standards of professional activity for service personnel.

Private educational organization - An institution established through private investment and licensed by the relevant governmental sub-agency within the designated domain of the state operates as a legal entity under private law. It manages buildings, structures, land areas, or immovable properties that are listed as private assets on its balance sheet. Pupils and students pay tuition and educational service fees or enjoy certain benefits established by the owner. There are flexible rules of professional activity and work schedules for service personnel.

Volume and structure of the thesis: The thesis consists of 275 pages. It consists of an introduction, a literature review, four chapters and a conclusion. Eight charts, thirty diagrams and nine tables are attached to the work. The list of used literature is represented by 376 names.

The content of the paper is as follows:

- Introduction;
- Review of scientific literature and theoretical context of research;
 - ✓ Relevance of public administration research;
 - ✓ World Bank quality of education;
 - ✓ Geert Hofstede's six cultural dimensions;

- ✓ The influence of Hofstede's theory of cultural dimensions on global studies;
- Methodology, research description and results;
- Judgment and scientific findings;
 - ✓ Public administration research;
 - ✓ Ethical paradigms of public management;
 - ✓ Values of public management;
 - Values of quality education;
 - Ethical types;
 - Analysis of the management of PEOs in the light of ethical paradigms;
 - Organizational culture;
- Quantitative research data analysis;
- Content analysis of research data;
- Deriving the percentage of coefficients to determine compliance;
- Assessment and scientific findings;
- Conclusions and recommendations;
- Bibliography.

Summary of the paper

The thesis includes an introduction, research methodology, four research chapters, conclusions and recommendations, a summary, and a list of used literature. The paper is accompanied by a research instrument in the form of questionnaires.

In the first chapter of the dissertation: the relevance and importance of public management studies are discussed. Specifically, a persuasive argument is made emphasizing the role of public management research in facilitating the advancement and enhancement of practical

applications. To ensure the efficient allocation of funds earmarked for public endeavours, civil servants must possess the capability to identify and assess the suitability of studies intended to address the most significant public activities. Every instance of public management research inherently possesses a defined purpose, philosophical underpinnings, and relevance, all of which are cultivated through the application of a specific methodology. The examination of values necessitates the establishment of distinct scientific foundations that are indigenous to the field of study.

The second chapter of the dissertation discusses the place of public management and its actualization in relation to the national government and public policy; The problems existing in Georgia from this point of view, be it: theoretical or scientific anonymity of game rules, simulation of interest groups, etc. Special attention is devoted to underscoring the significance of cultural theory in public administration, highlighting its pivotal role in capturing the impact of national culture. The state regulates the extensive, formal, and public domain of education activities across the entire nation, guided by its declared objectives and normative framework. One of the objectives of the dissertation is to comprehend the position and significance of national cultural values within the administration implemented nationwide. The essence, purpose, accurate identification of problems, and effectiveness of the system depend on the accurate perception and understanding of national cultural values. The vitality of national culture holds particular significance in safeguarding the identity of developing nations, representing a fundamental cornerstone for the advancement of world civilization.

The third chapter of the dissertation: The third chapter of the thesis is the most extensive, seeking to substantiate the presence of a value-oriented approach in public management. Within this chapter, an examination is conducted on the global ethical framework on the realization of educational value, with particular emphasis on the value principles outlined in the Incheon Declaration.

The chapter also delves into the institutional management of education in Georgia, shedding light on the profound influence of a significant threat - poverty, with aspects of cultural value, well-being, social, cognitive and emotional development. The significance of the interconnection between poverty and issues of education quality is substantiated by international studies and the endeavours of governments worldwide. Within this context, a detailed examination is conducted to thoroughly explore the objectives of sustainable development and the global values that governments should consider concerning this subject matter. The values find practical implementation within the documents that define the standards for quality education. An analysis is performed on the quality standards of education set forth by Norway, the United States, and the World Bank to illustrate this point. We will explore the value systems advocated by Sir Ken Robinson and Walter Minolo, recognizing their profound significance in public management and, more specifically, in the domain of public education.

In the fourth chapter of the dissertation: the results of our research according to Hofstede's cultural dimensions are discussed. To examine the prevailing value orientation, a survey was conducted, involving interviews with 1650 stakeholders from various public educational institutions in multiple cities and villages across Georgia. After the screening, 1304 completed questionnaires were selected, of which 87% were completed by female respondents. Among the completed questionnaires, the distribution across the pre-defined age groups was as follows: 24% belonged to the first age group, 35% to the second age group, 32% to the third age group, and 9% to the fourth age group. Quantitative data were analyzed based on sociocultural age and demographic cohorts.

98% of the respondents of the selected survey questionnaires are Georgian.

The differentiation based on status revealed that among the respondents, 40% were teachers, 17% - citizens, 13% - parents, 7% - directors, 6% - students, 5% - members of the board of trustees, 3% -

administrators of public educational organizations. Ten per cent of the respondents took part in the research as a director and administrators of a public educational organization. The number of respondents with other statuses does not exceed 1-2 per cent. The quantitative data underwent analysis based on the functional responsibilities outlined in the relevant legal normative acts.

The respondents, in descending order of priority, ranked the following life priorities: family, work, friends, free time, religion, and politics.

The sequence of family upbringing priorities arranged by the respondents is as follows: responsibility, hard work, tolerance and respect for other people, independence, etiquette and good manners, reasonability, care for the environment, imagination and fantasy, religiosity.

